პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 181 (10575) | ქვირა, 5 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. მხურვალე სალამი ჩვენი ქვეყნის სახელოვან სპორტსმენებს!

სიჯანსაღის, ძალისა და სილამაზის ზეიმი

დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები აღნიშნავენ სახალხო ტრადიციულ დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, რომელსაც ხალხმა სიჯანსაღის, ძალის, სიმხნევის, სილამაზის დღესასწაული უწოდა. დღევანდელი დღე აღსანიშნავია იმითაც, რომ მოსკოვში ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. დღეს ლუჟნიკში ამ გრანდიოზულ მასობრივ შეჯიბრებათა დაწყების მაუწყებლად აფრიალდება 15 მოკავშირე რესპუბლიკის დროშები, ხოლო ფეხბურთის მოედნის მწვანე ხალიჩაზე მწყობრი ნაბიჯით გამოვლენ სპორტსმენები — სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები, გამოვლენ არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა საუკეთესო წარმომადგენლები, არამედ გამოვა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ძალა, ჩვენი მომავალი.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნა აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როდესაც გმირი საბჭოთა ადამიანები თავდადებული შრომით პირნათლად ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ახლახან გამოქვეყნებული ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის I ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“ ნათლად მეტყველებს იმ შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის ნატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განუხრელმა ზრდამ, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელმა აღმავლობამ, სოციალისტური კულტურის განვითარებამ შექმნეს საფუძვლები ჩვენს სამშობლოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი მასობრიობისათვის.

ფიზკულტურა და სპორტი კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს ჯანმრთელი, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდობის აღზრდას. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. დიდძალი თანხები იხარჯება სტადიონების, მოედნების, საცურავი აუზების, ტურისტული და ალპინისტური ბაზების მოსაწყობად, მასობრივ შეჯიბრებათა ჩასატარებლად. ამ დღეებში გაიხსნა კიდევ ერთი გიგანტი — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში იქ, სადაც ძველათ გუბეები და ჭაობები იყო, დამთავრდა სასპორტო ნაგებობათა კომპლექსის — სპორტის, ჯანმრთელობის, დასვენებისა და კულტურის ქალაქის პირველი რიგის მშენებლობა. საბჭოთა ახალგაზრდობამ, ჩვენმა შესანიშნავმა სპორტსმენებმა კარგი საჩუქარი მიიღეს, და ახლა სამშობლო ჩვენი სპორტსმენებისაგან მოელის კიდევ უფრო თვალსაჩინო გამარჯვებებსა და მიღწევებს.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა იქნება ამ გამარჯვებებისა და მიღწევების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო საბჭოთა ახალგაზრდობის მტკიცედ დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია.

ასეთი გრანდიოზული სპორტული ღონისძიება არ ახსოვს საბჭოთა სპორტის ისტორიას. 15 მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები სპორტის 22 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, იბრძოლებენ სპარტაკიადაში გამარჯვებისა და სსრ კავშირის ჩემპიონობის მოსაპოვებლად. ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს 8 ათასზე მეტი სპორტსმენი, მაშინ როცა XV ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობდა ექვსი ათასამდე ახალგაზრდა.

ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენისათვის მზადებამ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების, რაიონულმა, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურმა სპარტაკიადებმა გამოავლინეს კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდობა, ახალი ჩემპიონები და რეკორდსმენები.

საბჭოთა ფიზკულტურელები მტკიცედ ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანებს, რომლებიც მიმართულია მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისაკენ, იბრძვიან სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის და მსოფლიო პირველობისათვის სპორტის უმთავრეს სახეობებში. მათ სისტემატურად შეაქვთ შესწორებები მსოფლიო რეკორდების ცხრილში, საერთაშორისო შეჯიბრებებში აჰდენენ საბჭოთა სპორტის ძლიერების დემონსტრაციას.

სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში მომზადდა 141.955 იმშთ და მშთ კომპლექსის ნიშნოსანი, 38.807 თანრიგოსანი, მათ შორის 833 პირველთანრიგოსანი, დამყარებულ იქნა 112 რესპუბლიკური რეკორდი, რომელთა შორის 4 საკავშირო, ხოლო 3 მსოფლიო რეკორდია.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ საუკეთესო სპორტული მაჩვენებლები ჰქონდეთ. ოღონდ საჭიროა ამ პირობებისა და საშუალებების გონივრულად გამოყენება. ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლო დაწესებულებაში შეიქმნას სიცოცხლისუნარიანი, მოქმედი ფიზკულტურული კოლექტივი, ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბან მშრომელთა ფართო ფენები, აამაღლონ სპორტსმენთა ოსტატობის დონე, ამრავლონ სპორტის ოსტატთა და თანრიგოსანთა რიგები. სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე, სისტემატურად უნდა ეწყობოდეს საინტერესო შეჯიბრებები, სახალხო თამაშობანი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. საჭიროა ბოლო მოეღოს ჯერ კიდევ არსებულ ჩამორჩენას სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ველოსპორტი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა დიდად დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში, ხელს შეუწყობს სპორტული ოსტატობის მწვერვალების დაპყრობის საქმეში.

ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ და გავამრავლოთ საბჭოთა სპორტის მიღწევები.

ახალი სპორტული მიღწევებისათვის.

პლაკატი მხატვარ ი. თოლიჭისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკოს ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

იღებენ რა მხედველობაში ამხანაგ **ი. ი. ნოსენკოს** დამსახურებას საბჭოთა კავშირის გემსაშენი მრეწველობის განვითარებასა და საზღვაო ფლოტის შექმნაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიენიჭოს ივანე ისიდორეს-ძე **ნოსენკოს** სახელი ნიკოლაევის გემსაშენ ქარხანას, რომელშიც მან მრავალი წელი იმუშავა, განვლო რა გზა მუშიდან ხომალდის მთავარ მშენებლამდე, და ამიერიდან ეწოდებოდეს მას ნიკოლაევის **ი. ნოსენკოს** სახელობის გემსაშენი ქარხანა.

2. დაიდგას ნიკოლაევის **ი. ი. ნოსენკოს** სახელობის გემსაშენ ქარხანაში ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკოს ბიუსტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის ოქროს მედლები და პრემიები

3 აგვისტოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის ოქროს მედლებისა და პრემიების მინიჭების წესი. ამ ჯილდოებით აღინიშნება ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები ცოდნის სხვადასხვა დარგში.

სამ წელიწადში ერთხელ მიანიჭებენ ს. ი. ვავილოვის, ა. ს. პოპოვის, კ. ე. ციოლკოვსკის, ა. პ. კარპინსკის, ი. ი. მეჩნიკოვის, ვ. ვ. დოკუჩაევის, ი. პ. პავლოვის სახელობის ოქროს მედლებს.

გადაწყდა დაარსდეს ახალი ოქროს მედალი — სამამულო მეცნიერების ფუძემდებლის პირველი რუსი აკადემიკოსის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობისა. ეს მედალიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ გამოჩენილი ნაშრომებისათვის საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლის მიმნიჭებელი საექსპერტო კომისია. იგი მოაწყობს კონკურსებს მედლის მოპოვებაზე.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება დაარსდეს ოთხი ახალი პრემია: მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭება მეცნიერული კვლევისა და აღმოჩენისათვის ფიზიკის დარგში, ა. მ. ბუტლეროვის სახელობის პრემია — ნაშრომებისათვის ორგანული ქიმიის დარგში, ი. ი. სეჩენოვის სახელობის პრემია — ექსპერიმენტული და თეორიული ნაშრომებისათვის ზოგადი ფიზიოლოგიის დარგში, აგრეთვე ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭება მეცნიერული შრომებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

პრემიები, ისევე როგორც ოქროს მედლები, მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ. (საკდესი).

მოსავლის აღება ჭიანურდება, დანაკარგები მაჯუღლობს

ყანის ამ ნაწილში, სადაც ნახევარი საათის წინ კომბაინს გაევლო, კოლმეურნე ქალები ნამკლის ბულულში გაულეწავ თავთავს არჩევდნენ, იქვე იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. ლალიაშვილი.

— მეხუთე დღეა, — თქვა მან, — ჩვენთან ორი კომბაინი მუშაობს, მაგრამ ასეთი ტემპით შორს ვერ წავალთ. ახლა ნახეთ რამდენი დანაკარგია! აი ეს თავთავები სწორედ კომბაინის მიერ გალეწილი ჩალიდან არის აკრეფილი....

ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურები ასაღებია 614 ჰექტარზე, აქედან კომბაინით 450 ჰექტარზე. კოლმეურნეობის შესაძლებლობა აქვს მოსავლის აღება დაამთავროს 8-10 დღეში, მაგრამ მუშაობის ახლანდელი ტემპი გვიჩვენებენს, რომ ამ სამუშაოს აქ ვერც 20 დღეში მორჩებიან.

მეხუთე დღეა, რაც აქ კომბაინერები გ. სანაშვილი და გ. ხეოშვილი მუშაობენ, მაგრამ პურეული ჯერეს მხოლოდ 30 ჰექტარზე, ისიც დიდი დანაკარგებით.

სამწუხაროდ, ბაზალეთის კოლმეურნეობის მაგალითი გამონაკლისი როდია. შეიძლება ითქვას, რომ ლუშეთის რაიონის ბევრი კოლმეურნეობა სასარგებლოდ ჩამორჩება პურეულის აღებაში. ამაში დამნაშავეა მტს-ის ხელმძღვანელობა (დირექტორი ამხ. ა. მანუკოვი), რომელმაც ვერ შეძლო გამზადარიყო მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების ნამდვილი ორგანიზატორი.

რაიონში 19 კომბაინი მუშაობს, რომელთა ნაწილი ტექნიკური უწესივრობისა და სხვა მიზეზების გამო ხშირად უქმად დგას. მაგალითად, 31 ივლისს კომბაინები არ მუშაობდნენ კოდისწყაროს, მჭადოჯრისა და ბაზალეთის კოლმეურნეობათა მინდვრებში.

იმავე დღეს სოფელ საშაბურის კოლმეურნეობაში მოცდა ერთი აგრეგატი. ეს იმან გამოიწვია, რომ წინა ღამეს უპატრონოდ მიტოვებული კომბაინიდან ბოროტმოქმედებმა საბურავები და აკუმულატორი მოიპარეს. სამარცხვინო ამბავი წეიმთხვა აგრეთვე კომბაინერ ხ. ყორბესაშვილს, რომელმაც ღამით 1 კასრი საწვავი დაკარგა.

კოდისწყაროს კოლმეურნეობის ნაკვეთზე კომბაინი „სტალინეც-6“ გაცდა, რადგან აგრეგატის ხელმძღვანელი დ. ყალაგაშვილი ელოდებოდა მტს-ის დირექციის რაღაც „მითითებას“ მუშაობის დაწყების შესახებ.

ადგილი აქვს ასაღები მანქანების არასწორ მანევრირებას. მაგალითად, კომბაინერი მ. ხეოშვილი ბაზალეთის კოლმეურნეობაში მუშაობდა, მაგრამ როცა კოლმეურნეებმა დიდი დანაკარგების გამო უკმაყოფილება გამოთქვეს, იგი ნაწყენი დარჩა და აგრეგატი თვითნებურად საშაბუროს კოლმეურნეობაში წაიყვანა.

ლუშეთის მტს-ის მთავარი ინჟინერი ა. კობაიძე, მთავარი აგრონომი გ. თანიაშვილი და პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ა. ჩოხელი, როცა საუბარი კომბაინების გაცდენაზე ჩამოვარდება, თავს იმართლებენ — რაიონში კომბაინების მუშაობისათვის ძნელი რელიეფიაო. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. მაგალითად, ბაზალეთის ველზე მუშაობის საუკეთესო პირობებია, მაგრამ კომბაინერების წარმადობა აქ დღეში 5-6 ჰექტარზე მეტს მაინც არ აღემატება. რაშია საქმე? იმაში, რომ მტს-ის დირექცია და პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი დუნედ, არაოპერატიულად ხელმძღვანელობენ მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს.

აღსანიშნავია, რომ რაიონის ზოგ კოლმეურნეობაში უურადღება არ ექცევა საკუთარი ძალებით მოსავლის აღების საქმეს. შუახევის კოლმეურნეობაში პურეული უკვე დამწიფდა, მაგრამ აქ ხელით მკა ჯერ არ დაუწყიათ. ასეთივე მდგომარეობაა არღუნისა და ტონჩის კოლმეურნეობებში.

მტს-ში მოუწესრიგებელია მოძრავი სახელოსნოს მუშაობა, არ არსებობს საღამისპეტჩერო სამსახური, კომბაინების ნაწილს ღამით არ იყენებენ, დანერგილი არ არის მოსავლის აღების სხვა პროგრესული მეთოდები.

მარცვლეულის დანაკარგებთან ბრძოლა უშეალოდ დაკავშირებულია კომბაინებისა და სხვა ასაღები მანქანების მაღალ წარმადობასთან, მაგრამ მტს-ის მექანიზატორები მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან ტექნიკის სრული დატვირთვისათვის.

ალაბის ამ დღეებში კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს შორის ვაშლილი არ არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, კოლმეურნეობებისა და მტს-ის პარტიული ორგანიზაციები ჯერჯერობით ვერ აფასებენ სოციალისტური შეჯიბრების როლს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში.

რაიონის მშრომელებმა წელს ხორბლეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა მოხავლის უდანაკარგოდ აღება და დამბინავება. დრო არ ითმენს, ლუშეთის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა სწრაფად უნდა გაიუჯარონ კომბაინების გამოყენება. მოაწყონ მათი ორ ცვლად მუშაობა, ყველაფერი გაკეთონ, რათა თავიდან აიცილონ მოსავლის აღების გაჭიანურება და მარცვლეულის დანაკარგები.

ა. თოლმაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში

დანინაურებულნი

4 აგვისტო

თეთრი წყაროს მტს-ში

ა. ლაჩინი მუშაობს სოფელ დურნუკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 17 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი ხორბალი.

ი. ლეცკერმ თვითმავალი კომბაინით წინწყაროს კოლმეურნეობაში პურეული მომკა 11 ჰექტარზე, ამიო დავალებას 8 ჰექტარით გადაჭარბა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვალი.

გოლნისის მტს-ში

რ. ამირეროვა სოფელ დარბაზის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 16 ჰექტარი და გალეწა 190 ცენტნერი პური. 11 სამუშაო დღეში სულ აღებული აქვს 176 ჰექტარი.

ა. ბერუაშვილი ნაყოფიერად მუშაობს სოფელ ჩათახის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 17,5 ჰექტარი და გალეწა 230 ცენტნერი მარცვალი.

მკაცრი გაფრთხილება მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკებს

საქართველოს სს რესპუბლიკაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება შეუწყნარებლად გააჭიანურეს მთელი რიგი რაიონების მტს-ებმა. ამის შედეგად 1 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოსავლის აღების გეგმა შესრულებული იყო 57,3 პროცენტით. ზოგიერთი მტს-ის დირექტორების, მთავარი აგრონომებისა და ინჟინერ-მექანიკოსების უდარდელობითა და უპასუხისმგებლობით ტექნიკა მომცდარია, დაშვებულია პურეულის დიდი დანაკარგები.

ამ საკითხებზე იმსჯელა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ. შემოწმებით გამორკვეულია, რომ მოსავლის აღებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობები. სამხრეთ ოსეთში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 10,5 პროცენტით, ხაშურის რაიონში — 42,8, ხოლო ქარელის რაიონში — 46 პროცენტით.

ასეთი ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები უდარდელად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, ყურადღებას არ აქცევენ კომბაინების სრული დატვირთვით მუშაობას. მოწყობილი არ არის სადღეღამისო მუშაობა, ცუდია კომბაინების აგრეგატების მომსახურება მინდვრად, დიდია მათი მოცდენა ტექნიკური მიზეზებით, გამოყენებული არ არის მოსავლის ცალცალკე აღება.

შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს, რომ 1 აგვისტოსათვის რესპუბლიკის მტს-ებში ერთი კომბაინის სამუალო სეზონური დატვირთვა 215 ჰექტარს არ აღემატება. ქარელის მტს-ში იგი შეადგენს 68 ჰექტარს, რუისის მტს-ში — 92 ჰექტარს, ხოლო აგარის მტს-ში — 142 ჰექტარს. ასევე დაბალია კომბაინების დატვირთვა ხაშურის, გომის, სტალინირის და ქსუისის მტს-ებში.

ქარელის მტს-ის კომბაინერმა სულეიმანიშვილმა 24 ივლისს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მხოლოდ 1 ჰექტარი მომკა. აგარის მტს-ის კომბაინერმა ჩუტკერაშვილმა 11 სამუშაო დღეში აიღო 66 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 110 ჰექტარისა. ქსუისის მტს-ის ექვსი კომბაინიდან 2 და 3 აგვისტოს მხოლოდ ოთხი მუშაობდა. ქარელის მტს-ის 2 კომბაინი ორი დღის განმავლობაში უქმად იდგა ლილვების დაზიანების გამო. გომის მტს-ის თვითმავალმა კომბაინმა სოფელ ალის კოლმეურნეობაში ორ დღეს ძლივს იმუშავა.

აღნიშნულ მტს-ებში შრომის დისციპლინა მოდუნებულია. ქსუისის მტს-ის კომბაინერმა ხანიკაევმა 3 აგვისტოს მუშაობა დაიწყო დილის 10 საათზე, რუისის მტს-ის კომბაინერმა მღებრიშვილმა — 11 საათზე, გომის მტს-ის კომბაინერი ოგანოვი სამუშაოზე გავიდა დღის 12 საათზე და სხვ.

ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკების მოუქნელი მუშაობის, უდარდელობის გამო გაიზარდა მარცვლის დანაკარგები. მაგალითად, ქსუისის მტს-ის კომბაინერი ბერუაშვილი მოსავალს იღებდა სოფელ არგვიცის კოლმეურნეობაში, და ჰექტარზე მარცვლეულის დანაკარგი იყო 2-3 ცენტნერი. გომის მტს-ის კომბაინერი ბაიდაური მკას აწარმოებდა მაღალ ჭრაზე. ხაშურისა და აგარის მტს-ების კომბაინერები ქალიაშვილი და გათაშვილი კომბაინის პირველი წმენდის ცხავისა და ჰაერის მიწოდების მოუწესრიგებლობის მიზეზით დიდი რაოდენობით კარგავდნენ მარცვლეულს.

ბევრგან ყურადღება არ ექცევა მექანიზებული კალოების მოწყობას, მარცვალსაწმენდი მანქანები დიდი შეფერხებით მუშაობენ, ზოგან კი ამ მანქანებს სრულიად არ იყენებენ. ქსუისის მტს-ის ახალი მარცვალსაწმენდი მანქანა 1 აგვისტოსათვის მტს-ის კარიდამოდან არც კი იყო გატანილი. რუისის მტს-ის მარცვალსაწმენდი მანქანა „ვიმი“ ცუდად მუშაობს. 31 ივლისს გაწმინდა მხოლოდ 2 ტონა, 1 აგვისტოს — 2,5 ტონა ნაცვლად 10 ტონისა.

კოლეგიაზე გამოირკვა, რომ ქსუისის მტს-ის დირექტორი ს. მეცხვარიაშვილი, მთავარი აგრონომი ე. მელქოევა, აგარის მტს-ის მთავარი აგრონომი ს. ჯვარშეიშვილი, რუისის მტს-ის მთავარი აგრონომი გ. ურუშაძე და მთავარი მექანიკოსი ლ. ტატიაშვილი მთელი მონდომებით არ მუშაობენ, ყოველდღიურად არ იციან ამა თუ იმ კომბაინერს რა უჭირს, რამდენი ჰექტარი მომკა, რატომ დგას კომბაინები უქმად. ისინი კოლეგიაზე შეეცადნენ არადამაჯერებელი, უსუსური „ობიექტური“ მიზეზებით გაემართლებინათ თავი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ მტს-ების და მექანიზაციის მთავარ სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს და მტს-ების დირექტორებს დაავალა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მოსავლის აღებაში არსებული ნაკლოვანებების უსწრაფესად გამოსწორებისათვის.

მოსავლის აღების სამუშაოების ცუდად მოწყობის, კობაინების დაბალი გამომუშავების, მარცვალსაწმენდი მანქანების გამოუყენებლობის, მოსავლის დიდი დანაკარგების დაშვებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ ქსუისის მტს-ის დირექტორს ს. მეცხვარიაშვილს, მთავარ აგრონომს ე. მელქოევას, აგარის მტს-ის მთავარ აგრონომს ს. ჯვარშეიშვილს, რუისის მტს-ის მთავარ აგრონომს გ. ურუშაძეს და მთავარ მექანიკოსს ლ. ტატიაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური და გააფრთხილა, რომ უახლოეს დღეებში თუ არ გამოასწორებენ ისინი აღნიშნულ ნაკლოვანებებს, უფრო მკაცრად დაისჯებიან.

ამასთან ერთად გაფრთხილებულ იქნენ რუისის და გომის მტს-ების დირექტორები დ. ტიტვინიძე და დ. ჩხიკვაძე, გომის მტს-ის მთავარი ინჟინერი პ. არაბიძე, ქარელისა და სტალინირის მტს-ების დირექტორები ვ. ღოღობერიძე და გ. გახელაძე, მთავარი ინჟინერები ს. დევდარიანი და მ. გზირიშვილი უზრუნველყონ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრა მანამდე, სანამ მკაცრად დაისჯებოდნენ.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ბევრი მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ მინდობილი საქმისადმი. საჭიროა ბოლო მოვუღოთ თვითდამშვიდებას, ყველა რეზერვი გამოვიყენოთ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა სპორტის დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში. მთავარი სპორტული არენის ხედი. ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

◎

დაპარაკობენ სპორტსმენები

◎

ახალი რეკორდებისათვის

ამას წინათ დამთავრდა რსფსრ ხალხთა სპარტაკიადა, რომელიც თავის მასობრიობით დიდად აღემატებოდა გასულ შეხვედრებს.

რსფსრ და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში ჩამოყალიბდა 6.862 ახალი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, ფიზკულტურელთა რიცხვი 693.000 კაცით გაიზარდა. მომზადებულია 2.465.000 ნიშნოსანი, სსრ კავშირის 362 სპორტის ოსტატი, 672.000 სპორტსმენი თანრიგოსანი.

ჩვენი სპარტაკიადა მასობრიობასთან ერთად გამოირჩეოდა სპორტული შედეგებით. ასპარეზობამ ცხადყო სპორტსმენთა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. დამყარებულია 2.058 საოლქო, სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკის რეკორდი, რსფს რესპუბლიკის 237 რეკორდი. აქედან 59 აღემატება საკავშირო და 37 — მსოფლიო რეკორდებსა და მიღწევებს.

რსფსრ ხალხთა სპარტაკიადაში, რომლის პროგრამა ვრცელი და შინაარსიანი იყო, გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვის ოლქის ნაკრები გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა ქ. დონის როსტოვის სპორტსმენთა ნაკრებმა კოლექტივმა, მესამე — ქ. გორკის გუნდმა.

ძალოსნობა ჩემი საყვარელი სპორტია. პირველი წარმატება 1950 წელს მოვიპოვე, გავხდი სსრ კავშირის ჩემპიონი, ორი ხელით ატაცში დავამყარე მსოფლიო რეკორდი. ამის შემდეგ მეექვსე წელია ზედიზედ ვინარჩუნებ ჩემპიონის სატიტულო სახელს, სამჯერ მოვიგე მსოფლიო პირველობა. ენერგიულად ვემზადებოდი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის და ვფიქრობ ეს დიდი შეჯიბრება ახალი წარმატებებით აღვნიშნო.

ა. ვოროგბიოვი,
მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში, რსფსრ სპორტული დელეგაციის წევრი.

ჩვენი მიღწევები



უკრაინის დედაქალაქს კიევს, მის ცენტრალურ სასპორტო ბაზებსა და სპორტსმენებს ისეთი დიდი, მასობრივი და წარმტაცი ასპარეზობა არ ახსოვთ, როგორიც ჩვენი რესპუბლიკის სპარტაკიადა იყო.

უკრაინის სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში გამოვლინდა ახალგაზრდა სპორტსმენთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც აჩვენეს პირველი თანრიგოსნის ნორმები. 15 სპორტსმენმა პირველად შეასრულა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის დაწყებამდე უკრაინელ სპორტსმენებს დამყარებული ჰქონდათ 329 რესპუბლიკური, 58 საკავშირო და 9 მსოფლიო რეკორდი. სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უკრაინის 44 სახელმოხვეჭილი სპორტსმენი სსრ კავშირის ჩემპიონია.

უკრაინელ სპორტსმენებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად გაამრავლონ სპორტული მიღწევები, სასახელოდ დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება.

ვ. ჩუკარინი,
სსრ კავშირის ამხოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში, უკრაინის სპორტული დელეგაციის წევრი.

ციფრები და ფაქტები

◆ პირველი საკავშირო სპარტაკიადა გაიმართა 28 წლის წინათ, 1928 წელს. შეჯიბრება მოეწყო მოსკოვში. მასში მონაწილეობას იღებდა ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის 7.000-მდე ფიზკულტურელი, აგრეთვე 12 ქვეყნის მუშათა სპორტული დელეგაციები— 612 კაცის შემადგენლობით.

◆ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ასპარეზობა იქნება წინასწარი ცნობებით ამ შეჯიბრებაში ერთმანეთს პირველობას შეეცილება მოძმე რესპუბლიკათა 8.000-ზე მეტი წარმომადგენელი. XV ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეთა რიცხვი კი მხოლოდ 5.869 კაცს შეადგენდა.

◆ 1928 წელს პირველ საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვება მოიპოვა რსფსრ გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — ბელორუსიის გუნდი. პროგრამაში შედიოდა სპორტული თამაშები, ძძლეოსნობა, კრივი, ძალოსნობა, ცურვა, რბენა დაბრკოლებებით, ხროლა, ველოსპორტი.

დედაქალაქის სპორტსმენთა წარმადგენი

სტუმართმოყვარე მოსკოვმა გულთბილად მიიღო მეგობრები, მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა საუკეთესო წარმომადგენლები. მეგობრული და გულთბილი იქნება ჩვენი შეხვედრები სასპორტო მოედნებზე და დარბაზებში, საცურაგ აუზებში და სასროლეთებზე, იპოდრომსა და ტრეკებზე.

დედაქალაქის ფიზკულტურელები საბჭოთა სპორტის დიდ დღესასწაულს წარმატებებით ხვდებიან. გაიზარდა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივთა და მათში გაერთიანებულ სპორტსმენთა რიცხვი, გადაჭარბებით არის შესრულებული ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების ვალდებულებები, სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის გეგმები. ლენინის სახელობის ახალი სტადიონის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის სპორტსმენებმა, ფიზკულტურელებმა, ახალგაზრდებმა.

ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში მოვაწყეთ რამდენიმე დიდი შეჯიბრება. მათ შორის აღსანიშნავია მოსკოვის ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით სპორტსმენმა. მარტო დედაქალაქის სპარტაკიადაში, რომელიც ახლახან დამთავრდა, პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 25 ათასამდე სპორტსმენი, 500-მდე ფიზკულტურული კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები.

შესანიშნავი შედეგი მოიპოვა ძალოსანმა ვ. სტოგოვმა, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე მსროლელები. მათი სპორტული მაჩვენებლები მსოფლიო რეკორდებზე უკეთესია. მძლეოსანმა ი. კაშკაროვმა დაძლია სიმაღლე 2 მეტრი და 8 სანტიმეტრი. მაღალი სპორტული შედეგები მოიპოვეს ვ. მირონოვმა სპორტულ სიარულში 10 კილომეტრზე, ლ. შჩერბაკოვმა სამმაგ ხტომაში, ვ. კუზნეცოვმა მძლეოსნურ ათჭიდში და სხვ.

მოსკოველ სპორტსმენთა გადაწყვეტილება ახეთია — ახალი წარმატებებით აღნიშნონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, მტკიცედ დაიცვან დედაქალაქის სპორტული ღირსება.

ს. პუშნოვი,
მოსკოვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

★ ★ ★

დღეს ვ. ი. ლენინის სტადიონზე

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება დღეს, 5 აგვისტოს, ლუჟნიკში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე. მოეწყობა შოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა პარადი. ალაშს აღმართავენ ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

ფართო და მრავალფეროვანი იქნება საჩვენებელ გამოსვლათა პროგრამა. თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. გაიმართება პროფკავშირთა და სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა მასობრივი გამოსვლები, თავისუფალი ვარჯიში.

სტადიონზე მოეწყობა სსრ კავშირის მრავალდღიანი ველოსპორტის მონაწილეთა ფინიში. აქვე პატაკებით მოვლენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ვარსკვლავისებური ესტაფეტის ფინალური ეტაპის მონაწილენი.

ამავე დღეს დაიწყება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული ასპარეზობანი ძძლეოსნობაში და საგზატეხილო ველოსპორტში. გაიმართება ჩოგბურთელთა და ფეხბურთელთა მორიგი შეხვედრები.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა 16 აგვისტომდე გაგრძელდება.

პრიზები, დიპლომები, მედლები

ტრადიციის მიხედვით ჩემპიონატებში გამარჯვებულთა დაჯილდოება ხდება პირველი საუკეთესო სპორტსმენის შედეგისათვის. ხალხთა სპარტაკიადაში ეს რიცხვი გაზრდილია ორჯერ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომები გადაეცემა პირველ ექვს ადგილზე გამოსულ გუნდებსა და სპორტსმენებს.

სპარტაკიადაზე გამარჯვებული კოლექტივი ან სპორტსმენი სპორტის თვითეული სახეობის მიხედვით ერთდროულად ორ წოდებას მიიღებს — სსრ კავშირის ჩემპიონისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდებას. ამ შემთხვევაში გამონაკლისს მხოლოდ ფეხბურთი შეადგენს, სადაც ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მომდინარეობს დამოუკიდებლად.

დიპლომებთან ერთად სპორტსმენებს გადაეცემათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

აქ მოთავსებულ სურათზე აღბეჭდილია პირველი პრიზი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა სპარტაკიადაში გამარჯვებული კოლექტივისათვის. პრიზები გადაეცემა აგრეთვე მეორე და მესამე ადგილზე გამოსულ ნაკრებ გუნდებს.

პირველ ადგილზე გამოსული სპორტსმენთა კოლექტივისათვის განკუთვნილი თასის ორნამენტი მოოქროვილი ვერცხლისაა, ჯამი — წითელ ბროლისა, მეორე თასის ორნამენტი ვერცხლისაა ლურჯი ბროლით, მესამისა — ბრინჯაოსი მწვანე ბროლით. პირველი პრიზის პოსტამენტის ბროლებს შუა მოთავსებულია 8 სპორტსმენის ფიგურა, რომელიც ასახავს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სპორტის ძირითად სახეობებს.

ლენინის ქალაქის წარმოგზავნილნი

ლენინგრადი დიდი ტრადიციის მქონე კულტურის ცენტრია. ამ ქალაქის სპორტული დიდება ფართოდ არის ცნობილი. შემთხვევითი რიდია, რომ ჩვენი გმირი ქალაქის წარმომადგენლები ნაწილს მკერდს უმშვენებს სამკერდე ნიშნები, მედლები, ეტიკეტები. ეს მედლები უძლიერესთა ბრძოლებში გამარჯვების ჯილდოა, სსრ კავშირის პირველობის გათამაშებებში საპრიზო ადგილების გამომხატველია.

საბჭოთა სპორტის პროგრესულობა პირველ რიგში მის ხალხურობასა და მასობრიობაშია, ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სპორტულ მუშაობას ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში, ქარხნებში, დაწესებულებებში. ყოველივე ამან სასურველი შედეგი მოგვცა.

თუ რით მოდის ლენინგრადის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ეს ნაწილობრივ ცნობილია. დიდი ასპარეზობის — ლენინგრადის სპარტაკიადის შემდეგ სპორტსმენებს მზადების ტემპი არ შეუნელებიათ და მთელ რიგ სახეობებში სასურველი შედეგი გვაქვს.

9.000 სპორტსმენიდან 500 კაცმა მოიპოვა ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება. ესენი არიან უკეთესთა შორის უკეთესები, სსრ კავშირის სპორტის ოსტატები და დამსახურებული ოსტატები, პირველთანრიგოსნები — 18 ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებისა და 390 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლები.

ლენინგრადის საქალაქო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებამდე გამართულ შეხვედრებში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 200.000 სპორტსმენი. შეჯიბრების დღეებში განახლდა 15 საქალაქო, 5 საკავშირო და 2 მსოფლიო რეკორდი. ათმა მძლეოსანმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ლენინის ქალაქის სპორტსმენებისათვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მოსკოვის ახალ ცენტრალურ სტადიონს ლენინის სახელი ეწოდა. ჩვენი სპორტსმენები შეეცდებიან ამ სტადიონზე თავიანთი პირველი გამოსვლები მაღალი მაჩვენებლებით, რეკორდებით აღნიშნონ.

ბ. ნაუმოვი,
ლენინგრადის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

დიდი სტარტის წინ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად საბჭოთა სპორტის მასობრიობამ უმაგალითო დონეს მიაღწია, ხოლო საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობამ და მიღწევებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა მსოფლიოში.

ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში 1956 წელი შევა, როგორც გრანდიოზულ ასპარეზობათა წელი, სპორტულ წარმატებათა და ძალთა დათვალიერების წელი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წელი.

დღეს, 5 აგვისტოს, ვ. ი. ლენინის სახელობის ახალ სტადიონზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის სასპორტო ნაგებობათა სიამაყეს წარმოადგენს, ზეიმით აღმართავენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ალაშს, დაიწყება გრანდიოზული ასპარეზობა, 15 მოკავშირე რესპუბლიკის 18 უძლიერესი კოლექტივის ბრძოლა პირველობისათვის, სსრ კავშირის ჩემპიონისა და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდების მოპოვებისათვის.

თუ რამდენად გიგანტურია ლენინის სახელობის ახალი სტადიონი, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზოგიერთი ციფრები:

მაგალითად, აქ არის ფეხბურთის 11 მოედანი, 4 მძლეოსნური (სარბენი) ბილიკი, ამდენივე საცურაგი აუზი, კალათბურთის 15 და ფრენბურთის 16 მოედანი, ჩოგბურთის 29 კორტი, 21 სასპორტო დარბაზი ტანვარჯიშისა და სხვადასხვა სპორტული თამაშისათვის, 7 დარბაზი ძალოსნობის, კრივის, ჭიდაობის, ფარიკაობისა და აკრობატიკისათვის, 5 მოედანი ფიგურული ციგურაობისათვის და სხვ. თუ სტადიონის უკანასკნელ, 72-ე რიგზე მოხვდებით, ეს იმას ნიშნავს, რომ იმყოფებით დაახლოებით შვიდსართულიანი სახლის სიმაღლეზე. სტადიონის ცენტრალური არენის ტევადობა (მზედველობაში გვაქვს საჯდომი ადგილები) შეადგენს 103.001 კაცს.

ახალი სტადიონის ტერიტორიაზე მოთავსებულია სხვადასხვა ნაგებობა, მოედნები, პარკები, სკვერები, გაზონები, დარგულია 18.000 მრავალწლიანი ხე, რამდენიმე ასეული ათასი ბუჩქი. დადგმულია 300 საათი, 30 ათასამდე ლამპიონი, მოწყობილია 11 შადრევანი. სასპორტო დარბაზი, რომლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი იქნება.

გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს სტადიონის შიგნითა ნაწილის მოწყობილობა. აქ დაახლოებით 1.000-ზე მეტი ოთახია, რომელთა საერთო ფართობი 80.000 კვადრატულ მეტრს აღემატება. პირველ სართულზე მოთავსებულია გასახდელები, შხაპები, პოლიკლინიკა, მსაჯთა ოთახები, სასპორტო ინვენტარის საწყობები, ბანი, სპორტმანეები, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვ. მეორე სართული განკუთვნილია მაყურებელთათვის უამინდობის შემთხვევაში კეთილმოწყობილი თავშესაფრებით. აქვეა სპორტის მუზეუმი, ტელეფონი-ავტომატები, 36 ბუფეტი, კიოსკები. მესამე სართულზე მოთავსებულია 14 სასპორტო დარბაზი, 2 რესტორანი, კინოთეატრი ორი დიდი დარბაზით. მეოთხე სართულზეა სპორტსმენთა სასტუმრო და სხვა ნაგებობანი.

ყოველივე ეს მხოლოდ ლუჟნიკის ციფრობრივი აღწერის ნაწილია. აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ დიდ და გრანდიოზულ ასპარეზობაზე, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით არის გათვალისწინებული. და განა მარტო ლენინის სახელობის ახალი სტადიონი იქნება შეხვედრათა ასპარეზი! შეჯიბრებისათვის ერთდროულად ეამოყენებული იქნება დედაქალაქის ყველა ცენტრალური სასპორტო ბაზა.

როგორ ხვდებიან საბჭოთა სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას?

როგორც ცნობილია, ხალხთა სპარტაკიადას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. იგი დაიწყო ჯერ კიდევ გასულ სასპორტო სეზონში. ეს მუშაობა ძირითადად გამოიხატა პროფკავშირების, სტუდენტთა და სასპორტო საზოგადოებათა სპარტაკიადებით. მარტო ამ ასპარეზობებში პირველობისათვის იბრძოდა 14 მილიონამდე კაცი. ამას მოჰყვა რაიონული, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები.

თუ რამდენად გრანდიოზული იყო რესპუბლიკური სპარტაკიადები, ამაზე ნათლად მეტყველებენ ციფრები. მარტო რსფსრ ხალხთა სპარტაკიადის შეხვედრებში 12 მილიონზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. უკრაინაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 2 მილიონზე მეტი ახალგაზრდა, ბელორუსიაში — 600 ათასი, უზბეკეთში — 800 ათასი და ა. შ.

სპორტული ბრძოლა უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი იყო, ხოლო სპორტული მაჩვენებლები — სასიხარულო და საამაყო.

აი რამდენიმე ფაქტი: ცნობილმა სპორტსმენმა მ. კრივონოსოვმა მინსკში ურო ტყორცნა 66 მეტრზე და 38 სანტიმეტრზე. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. დედაქალაქის სპარტაკიადაზე სპორტის მოყვარულები მოწმენი იყვნენ დიდი წარმატებისა, რომელიც ძალოსანმა ვ. სტოგოვმა მოიპოვა. ორი ხელით აქიმვაში მან აჩვენა 107,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპარტაკიადებში სსრ კავშირის ახალი რეკორდებით აღნიშნეს ა. ივანატიევმა (200 მეტრზე რბენა), ვ. ბოგატოვმა (თარჯა-რბენი), ი. კაშკაროვმა (სიმაღლეზე ხტომა), ვ. მირონოვმა (სპორტული სიარული 10 კილომეტრზე), ვ. კუზნეცოვმა (მძლეოსნური ათჭიდი), ლ. შჩერბაკოვმა (სამმაგი ხტომა) და სხვ.

რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქს ეწვივნენ მოძმე რესპუბლიკათა სასპორტო დელეგაციები, ჩვენი ქვეყნის საამაყო სპორტსმენები. დღეიდან ისინი ჩაებმებიან ასპარეზობაში, გვიჩვენებენ თავიანთ ოსტატობას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული პრიზების მოსაპოვებლად იბრძოლებს 15 მოძმე რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივი. რსფსრ წარმოდგენილია 4 გუნდით — მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ მხარეებისა და ოლქების ნაკრები, კარელიის ასსრ გუნდებით. სპარტაკიადის პროგრამა სპორტის 22 სახეობას მოიცავს, აქედან 20 სახეობა გუნდურ ჩათვლაში შედის.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ვამარჯვებულ ფეხბურთელთა კოლექტივისათვის, აგრეთვე იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც ძალოსნობისა და ცურვაში ახალ მსოფლიო რეკორდებს დაამყარებენ, დაწესებულია საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზები.

დიდი ყურადღება ექცევა ხალხთა სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებას, მსაჯთა მუშაობას, პროპაგანდას, მაყურებელთა კულტურულ მომსახურებას.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა. იწყება დიდი ასპარეზობის სტარტი. ეჭვსგარეშეა, რომ ეს გრანდიოზული შეჯიბრება იქნება საბჭოთა სპორტის დღესასწაული, ახალ სასახელო მიღწევათა ზეიმი.

ვ. ბაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
მოსკოვი.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანი სპორტსმენები



გ. კარტოზია



ვ. კუცი

მ. ჯუღელი



ა. აზარიანი

მ. კრივონოსოვი



გ. შამრაი



ბ. იგნატიევი

ფ. ბოგდანოვსკი

◎

დაპარაკობენ სპორტსმენები

◎

სპორტის მასობრიობისათვის

საბჭოთა სპორტულ მოძრაობაში ბელორუსიის ახალგაზრდობას, სპორტსმენებს სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივი თავის რიგებში ითვლის სსრ კავშირის 170 სპორტის ოსტატს, 85.000 სპორტსმენ თანრიგოსანს, 382.800 ნიშნოსანს. აღსანიშნავია, რომ ბელორუსიის სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში 40-ჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის წოდება.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში პირველობისათვის იბრძოდა 2.500 სპორტსმენი. ბელორუსიის სპორტსმენებმა ამ დიდი ასპარეზობის დღეებში დიდად გააუმჯობესეს რესპუბლიკური რეკორდი, გამოვლინდა სპორტის 43 ოსტატი, 56.835 სპორტსმენი თანრიგოსანი, მათ შორის 835 პირველთანრიგოსანი.

ჩემი შედეგი 200 მეტრზე რბენაში ევროპის ახალი რეკორდია. მაგრამ ეს როდი მაკმაყოფილებს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მე შევეცდები კიდევ უფრო გავაუმჯობესო ეს მიღწევა, ბელორუსიის მთელ სპორტულ კოლექტივთან ერთად ვიბრძოლებ საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად.

მ. იტკინა,
მსოფლიო რეკორდსმენი, ბელორუსიის სსრ სპორტული დელეგაციის წევრი.

საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად

ისეთი მასშტაბის სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, დიდი და საპატიო მოვალეობაა. ჩვენი რესპუბლიკის მრავალ წარმომადგენელთან ერთად ეს ბედნიერება მეც მხვდა წილად.

მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე და დამსწრე ვარ, მაგრამ ასეთი მასშტაბის ასპარეზობა, რომლის მონაწილეთა საერთო რაოდენობა 8 ათასზე მეტია, დღემდე არ მინახავს.

საბჭოთა კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ასეთი მასობრიობა და სიდიადე პირველ რიგში გამოწვეულია იმ დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ სპორტისადმი, ახალგაზრდობისადმი, ფიზკულტურელებისადმი.

საბჭოთა კავშირის სპორტის განვითარების ისტორიაში საქართველოს წარმომადგენლებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ. მრავალი მათგანი სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენია.

სპარტაკიადისათვის მზადება დიდი ხანია მიმდინარეობს. კარგი შედეგები მოგვცა შეკრებებმა, სისტემატურმა წვრთნამ.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკური სპარტაკიადის დღეებში დამყარებულ იქნა საქართველოს 18 ახალი რეკორდი, ოსტატის ნორმა პირველად 13 სპორტსმენმა შეასრულა. ამის შემდეგ სპორტსმენთა მომზადების დონე კიდევ უფრო ამაღლდა, თვალსაჩინო ცვლილებები იქნა შეტანილი რეკორდების ცხრილში.

საქართველოს ყველა სპორტსმენთან ერთად ჩვენ, მოჭიდავეები, მთელი ენერგიით შევეცდებით ვიბრძოლოთ საპრიზო ადგილებისათვის, საბჭოთა სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის.

ვ. ბალავაძე,
მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის წევრი.

ციფრები და ფაქტები

◆ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში 1.800 სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ეს ციფრი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე გასული სამი წლის შედეგები ერთად. სპარტაკიადას მოემსახურება მსაჯთა კოლეგია 1.300-ზე მეტი მსაჯის შემადგენლობით.

◆ ასპარეზობის ცენტრალური ბაზა ლენინის სახელობის სტადიონი იქნება. აქ გაიმართება შეხვედრები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, წყალბურთში, ცურვაში და სპორტის სხვა სახეობებში. ამიტომ მაყურებელთა დიდი ნაწილი თავს ლუჟნიკში მოიყრის. დედაქალაქის ტრანსპორტს ლენინის სახელობის სტადიონზე საათში 100.000-მდე მგზავრის გადაყვანა შეუძლია.

◆ მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადების ფინალში მონაწილეობას იღებდა 60.000-მდე სპორტსმენი. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დამყარებულ იქნა სსრ კავშირის 184 ახალი რეკორდი, რომლებიდანაც 50 აღემატება მსოფლიო რეკორდებს.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

თუ გინდა მოწინავე გახდე — დაეუფლე ტექნიკას!

ცხოვრებამ მიჩვენა და გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ თუ კაცს სურს გაუმჯობესება შეიტანოს ტექნიკაში, რომელსაც თვითონ მართავს, აუცილებლად საჭიროა სრულყოფილად იყოს დაუფლებული ამ ტექნიკას, იცოდეს თავისი აგრეგატის თუ სხვა დანადგარის ყოველი კვანძის, ყოველი წვრილმანი ნაწილის დანიშნულება.

ზ. გელაშვილი.

ამჟამად ვმუშაობ ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის სამანქანო-საბაზანო საამქროს ოსტატ-მექანიკოსად. მიხდება მომსახურება გავუწიო ბოთლის საყალიბებელ რთულ დანადგარს, რომელსაც ვაკუუმ-საბერავ ავტომატს უწოდებენ. ზოგებით ეს საკმაოდ მოზრდილი, კონსტრუქციულად რთული და ამასთან გონებამახვილურად მოწყობილი მანქანაა. მასზე შეიძლება მოვარგოთ ლიტრიანი ან ნახევარლიტრიანი ბოთლების (ლიმონათის ბოთლი) ყალიბები და ამ ყალიბების ზომის ბოთლებს იგი თითქმის ტყვიამფრქვევის სისწრაფით გაკეთებს და მოგვაწვდის. დანადგარს მორგებული აქვს ღარისებრი დეტალი, რომელზეც ყალიბებიდან ავტომატურად მოხსნილი ახალჩამოსხმული, ჯერ ისევ წითლად გავარვარებული ბოთლები ერთიმეორეს მიყოლებით გადმოდიან. წინათ ამ ღართან სპეციალურად იჯდა ერთი კაცი, რომელსაც მომარჯვებული ჰქონდა მაშის მსგავსი ხელსაწყო. ღარიდან გადმოგორებულ ბოთლს კონვეიერზე ამ ხელსაწყოთი აყენებდა.

ასეთ „ღარებს" მარტო ჩვენს ქარხანაში მომსახურებას უწევდა 8 კაცი. მე-გავაკეთე სულ მარტივი მოწყობილობა. ახლა ვაკუუმ-საბერავი მანქანის ღარზე ჩამოსრიალდება თუ არა ბოთლი, ღარიდან გადასრიალდება ჩემს ხელსაწყოზე, დაეჯახება ზამბარას, რომელსაც დასაჯახებელ ადგილზე კორპი აქვს, ზამბარას ოდნავ შეკუმშავს, ამის შედეგად ის ნაწილი, რომელზეც იდო ბოთლი, ძირს დაიწევს იმ ზომამდე, რომ ბოთლი თავისთავად დადგეს კონვეიერზე. ჩემს მიერ გაკეთებულმა მოწყობილობამ საგსებით გამიმართლა იმედები. ახლა ეს მოწყობილობა დანერგილია ჩვენს ქარხანაში, 8 კაცი განთავისუფლებულია მძიმე და ცხელი სამუშაოდან სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ამ მოწყობილობის დანერგვა წელს ჩვენს ქარხანას მარტო ხელფასის ფონდიდან მისცემს 30.000 მანეთ ეკონომიას. თუ წინათ მანქანიდან კონვეიერზე გადაადგილებისას ჯერ ისევ გაუციებელი ბოთლების მსხვრევა ხშირი იყო, ახლა ეს აღარ არის და, რაც მთავარია, დაჩქარდა ბოთლების გამოშვება.

ჩემს განკარგულებაში არსებული ტექნიკის საფუძვლიანად დაუფლებამ გამიადვილა რაციონალიზატორული იდეის განხორციელება.

პირველად, ცხადია, ეს მოწყობილობა ჩემსავე საამქროში გავმართე, ღამის მომსახურე მუშები სხვა საქმეს მივუჩინეთ, ხოლო კონვეიერზე ცხელი ბოთლების დამწყობი ხელსაწყოს გამოყენებამ საშუალება მოგვცა ვაკუუმ-საბერავი ავტომატი უფრო მაღალი რეჟიმით მუშაობაზე გადაგვეყვანა. ამის შედეგად წელს პირველ ნახევარში ჩვენმა საამქრომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.076.000 მანეთის პროდუქცია, ანუ 1.380.000 ცალი ნახევარლიტრიანი ბოთლი.

ისევე როგორც ჩვენი საამქრო, ახლა დიდი წარმატებით მუშაობს ოსტატ-მექანიკოსის გაბო გოგიჯანაშვილის საამქროც. ამ საამქროშიც განვლილ თვეებში ერთ მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. ეს მათ ახალი გამოცდილების დანერგვამ გაუადვილა.

ჩვენს ქარხანაში რაციონალიზატორები ბლომად არიან. ისინი დიდი ხალისით მუშაობენ, ეძიებენ და პოულობენ პროდუქციის გამოშვების გადიდების, ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების ახალ რეზერვებს.

მინდა აქ აღვნიშნო ერთი გარემოება: ზშირად საწარმოთა ხელმძღვანელები ფიქრობენ, თუ რაციონალიზატორებს სათანადო ფულად ანაზღაურებას მისცემენ, ეს მათი წახალისების ერთადერთი სტიმულიაო. ეს სწორი შეხედულება არ არის. მთავარი სტიმულია ის, რომ კაცი საკუთარი თვალით ნახავ შენ ჩანაფიქრს განხორციელებულსა და ამუშავებულს. ამიტომ ყველაზე უკეთესი წახალისება ის იქნება, რომ არ დააყოვნონ შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა და დანერგვა.

ჩემი რჩევაა ყველა ახალგაზრდა მუშისადმი, რა პროფესიისაც უნდა იყონ, დაეუფლონ ტექნიკას. უამისოდ მათთვის ძნელი იქნება მუშაობის მოწინავე მეთოდების შეთვისება და შემოქმედებითად მუშაობა.

ზ. გელაშვილი,
ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის ოსტატი-მექანიკოსი.

აგურის გამოშვების გეგმა გაღაჭარბებითაა შესრულებული

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა აქტიურად გააჩაღეს ბრძოლა ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად მშენებელთა საკავშირო დღისათვის, რომელიც წელს 12 აგვისტოს აღინიშნება. ამ ბრძოლაში უკვე მიღწეულია პირველი მნიშვნელოვანი წარმატება. 29 ივლისისათვის, ვადაზე ორი დღით ადრე, შესრულებულია გამომწვარი აგურის გამოშვების ივლისის საწარმოო გეგმა.

განვლილ 7 თვეში რესპუბლიკური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3,5 მილიონი ცალი გამომწვარი აგური.

მარტო მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის კოლექტივმა 1 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით 6 მილიონი ცალი აგური გამოუშვა.

თბილისელ ხელსაწყოთმშენებლების გამარჯვება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოდან თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთმშენებელ ქარხანაში მიიღეს ცნობა, რომ მომდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ამ ქარხნის კოლექტივი აღიარებულ იქნა მეტეოროლოგიურ ხელსაწყოთმშენებელი ქარხნების სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა.

ცნობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შესახებ ქარხნის კოლექტივის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

★

გათუმი. მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ხარატი ე. სლეპცოვი საწარმოო დავალებას სისტემატურად ორმაგად ასრულებს. **სურათზე:** ე. სლეპცოვი (წინა პლანზე) მუშაობის დროს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ

3 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. გაიმართა მეორე სხდომა.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებენ: საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუზიკინი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი, აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები.

იაპონიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: იაპონიის დელეგაციის მეთაური, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სიგემიცუ, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ს. მაცუმოტო, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო განყოფილების გამგე ტ. სამოდა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკა-ევროპის დეპარტამენტის მრჩეველი ს. ხოგენი, შვეიცარიაში იაპონიის მისიის მრჩეველი კ. ნიიძეკი, აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები.

დღეგანდელ სხდომაზე გრძელდებოდა აზრთა ურთიერთ გაზიარება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა თავისი თვალსაზრისი იაპონიის იმ ქვეშევრდომთა რეპატრიაციის საკითხზე, რომლებიც სასჯელს იხდიან. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ამ მოლაპარაკების დაწყებამდე გადაწყვეტილი იყო უახლოეს დროში 114 კაცის რეპატრიაცია იაპონიაში, მათ შორის 80 კაცისა, რომლებიც ვადამდე არიან განთავისუფლებულნი მათი საქმების გადასინჯვის წესით. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სრული ნორმალიზაციის შემდეგ, გადაწყვეტილებას აგრეთვე სსრ კავშირში მყოფი ყველა ამ იაპონელი ქვეშევრდომის რეპატრიაციის საკითხი, რომლებიც სასჯელს იხდიან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააცნო საბჭოთა მხარის თვალსაზრისი ტერიტორიულ საკითხზე, სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხზე, აგრეთვე მათ შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის აღდგენის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იაპონიის მიღებისა და თევზჭერის საკითხებზე.

იაპონიის დელეგაციამ გააკეთა წინასწარი შენიშვნები ტერიტორიულ საკითხზე. უფრო დაწვრილებით იაპონიის დელეგაცია თავის თვალსაზრისს აღძრულ საკითხებზე ჩამოაყალიბებს შემდეგ სხდომაზე.

შემდეგი სხდომა გაიმართება 1956 წლის 6 აგვისტოს.

ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკოს დაკრძალვა

4 აგვისტოს მოსკოვის მშრომელებმა დაკრძალეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გემსაშენი მრეწველობის მინისტრი ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკო.

კრემაციის შემდეგ, რომელიც ღამით მოხდა, ურნა განსვენებულის ნეშტით დაასვენეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. დარბაზსა და ფოიეში ბევრი გვირგვინია. მათ შორის არის გვირგვინი ბრიანსკის ოლქის მშრომელთაგან, რომლებმაც ი. ი. ნოსენკო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატად. ურნის წინ კვარცხლბეკზე შავი კრეპით შემოვლებულ ჩარჩოშია განსვენებულის პორტრეტი.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა შესვლა კავშირების სახლში. სვეტებიან დარბაზში არიან ი. ი. ნოსენკოს ნათესავები და ახლობლები, ამხანაგები, რომლებთანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული და შრომობდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ყღერენ სამგლოვიარო მელოდიები. სპატიო ყარაულს ურნის კვარცხლბეკთან ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა არმიის გენერლები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, გემსაშენი მრეწველობის სამინისტროს მუშაკები.

4 საათს არ შეწყვეტილა ადამიანთა ნაკადი.

უკანასკნელ სპატიო ვახტს ურნის კვარცხლბეკთან ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. არისტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ვ. ა. მალიშევი, მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის მინისტრები.

ნაშუადღევის 2 საათსა და 10 წუთზე დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ფრთხილად იღებენ ურნას კვარცხლბეკიდან და გააქვთ სვეტებიანი დარბაზიდან.

კავშირების სახლის წინ ჩამწკრივებულია სპატიო სამხედრო ესკორტი. მისი თანხლებით სამგლოვიარო მარშის ჰანგებში პროცესია მიემართება წითელ მოედანზე.

ი. ი. ნოსენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ათასობით მოსკოველი შეიკრიბა.

ურნას ი. ი. ნოსენკოს ნეშტით დაასვენებენ ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის წინ.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბულგანინი, პ. ნ. პოსპელოვი.

მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგს ხსნის მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მ. ვ. ხრუნიჩევს, გემსაშენი მრეწველობის მუშაკებისაგან — გემსაშენი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს ვ. ვ. ეფრემოვს, ბალტიის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემსაშენი ქარხნის კოლექტივისაგან — საწარმოს დირექტორს დ. ნ. ბალაევს, ნიკოლაევის გემსაშენი ქარხნისაგან — ზეინკალს დ. ი. ფედოტოვს.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. პარტიისა და მთავრობის. ხელმძღვანელები მავზოლეუმის ტრიბუნიდან ჩამოდიან და ფრთხილად იღებენ ურნას. სამგლოვიარო პროცესია მიემართება კრემლის კედლისაკენ. გაისმის საარტილერიო ზალპების გრიალი. ურნას ი. ი. ნოსენკოს ნეშტით დგამენ კრემლის ძველი კედლის ნიშში და მარმარილოს დაფით ხურავენ. დაფაზე ამოჭრილია წარწერა:

ივანე ისიდორეს-ძე
ნოსენკო

1		2
19—02	—	19—56
V		VIII

ყღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მავზოლეუმის წინ ჯარები გაივლიან. (საკდესი).

გაფოვიყენოთ მევენახეობის განვითარების ფართო შესაძლებლობანი

ისტორიული წყაროებით მესხეთში ძველთა მევენახეობა დიდად განვითარებული ყოფილა. ამ კუთხეში ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ჯიშებით აშენდებოდნენ მაღალი ღირსების ღვინოს.

ვაზის მესხური ძველი ჯიშები: როკეთული, ცხენის ძუძუ თეთრი, ცხენის ძუძუ შავი, ხარისთვალა, საწური, მესხური შავი, მესხური საფერე, შავი ასპინძური, ბეჟანა და სხვ. ამჟამადაც ცალკეული ძირების სახით შერჩენილია ტყეებში, ბაღებსა და ძველ ნასოფლარებში.

მესხეთში სოფლის მეურნეობის აღორძინება იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სამივე რაიონში (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე) გაშენდა ქართლის, ალხეთისა და იმერეთის განთქმული ჯიშები, მოეწყო საკოლექციო ნაკვეთები ჯიშთა დარაიონებისა და მცენარის ზრდა-განვითარებაზე დაკვირვებისათვის, მოეწყო აგრო-მეტეოროლოგიური სადგურები ჰავისა და ნიადაგის შესასწავლად და მათი როგორც მექანიკური, ისე ქიმიური ანალიზი.

ამენდა ვაზის ნამყენის გამოსაყვანი სათბურები აწყურში, წნისში (ახალციხის რაიონი), ლელოვანში, არალში (ადიგენის რაიონი). დამზადდა მესხური წარმოშობის ღვინოები, ჩატარდა მათი ქიმიური ანალიზები და სახელმწიფო კომისიაში გაიმართა დეგუსტაცია ღვინის ხარისხის დასადგენად.

საკვლევ-საცდელ სამუშაოთა გასაშლელად და მევენახეობის დარგში კოლმეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მესხეთის დასაყრდენი პუნქტი.

ცდებისა და კვლევის დადებითი შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა შამპანკომბინატის წრიოხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ აშენდა უდიდესი მარანი, რომელიც მოწყობილია ძეღვინეობის ტექნოლოგიაში მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. აქ დადგმული უდიდესი წნეხებით შეიძლება დღე-ღამეში 50 ტონა ყურძნის გადამუშავება.

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცუდად უვლიან ვენახებს

მესხეთის რაიონებში ამჟამად 306 ჰექტარი ვენახებია, მათ შორის 169 ჰექტარი სრულმსხმოიარე. მზადდება მესხური წარმოშობის მაღალხარისხოვანი შამპანური და სუფრის ღვინოები.

მიღებული ყურძნისა და ღვინის ხარისხის შესწავლამ ცხადყო, რომ მესხეთში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის უდიდესი შესაძლებლობა და პერსპექტივებია. ამას ხელს უწყობს აქაური ბუნებრივი პირობები. მაგალითად, თუ ადრეული და პირველი-მეორე პერიოდის ვაზის ჯიშების (პინო, ალიგოტე, ჩინური) მოსამწიფებლად ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა 130-150 დღე, მესხეთში საამისოდ გვაქვს 160-170 დღე. თუ ამავე პერიოდის ვაზებისათვის წელიწადში საჭიროა 2.700-3 000 გრადუსი სითბო, სინამდვილეში აქ 2.958-3.273 გრადუსია.

თუ ნალექების წლიური ჯამი საჭიროა სულ მცირე 500 მილიმეტრი, მესხეთში საშუალოდ მოდის 600-812 მილიმეტრი. რაც შეეხება ყურძნის მოსავალს და ღვინის ხარისხს, უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთში ვაზი მეტად ძლიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. ერთწლიანი ნაზარდი რქა ზშირად 5-6 მეტრს აღწევს და კარგი კვების, მოვლისა და ძლიერი დატვირთვის პირობებში მას დიდი მსხმოიარობის უნარი ახასიათებს. სოფელ კლდეში ვაზის ჯიშმა ალიგოტემ ჰექტარზე გადაყვანით მოგვცა 298,6 ცენტნერი, ჩინურმა — 271,3, გორულმა მწვანემ — 81,12 ცენტნერი ყურძენი.

მაღალ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფლების აწყურის, ვალეს (ახალციხის რაიონი), ტოლოშის, ოშორის (ასპინძის რაიონი), ლელოვანის, სამყრის (ადიგენის რაიონი) კოლმეურნეობები. ვენახების კარგი მოვლით კოლმეურნეობები დიდ ფულად შემოსავალსაც იღებენ. 1955 წელს დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 3 ჰექტარი მსმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 41 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა და 60 ათას მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი მიიღო. ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობამ 2,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 46 ცენტნერი ყურძენი, მიიღო 50.000 მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი. ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 3,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 45,9 ცენტნერი ყურძენი, რომლის რეალიზაციით მიიღო 60 ათას მანეთზე მეტი ფული.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს შამპანკომბინატის სადეგუსტაციო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა წრიოხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, სოფლების უღის, ლელოვანის, ზაკილიის, წინუბნის, კლდის, ტოლოშის, ოშორის კოლმეურნეობათა ღვინის ნიმუშებს.

მესხური შუშხუნა ღვინოები კარგი ბუკეტითა და არომატით ხასიათდება. მათგან ვიღებთ პირველხარისხოვან საშამპანურე მასალას. განსაკუთრებით კარგ პროდუქციას გვაძლევენ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე გაშენებული ვენახები. ვაზის გასაშენებლად ვარგისი დიდი მასივებია ფარეხის, ბოგის, აწყურის, მუგარეთის, ორფოლის (ახალციხის რაიონი), ბენარის, ბოლაჯურის, სმადის (ადიგენის რაიონი), რუსთავის, იდუმალის და ოშორის (ასპინძის რაიონი) მიდამოებში. ამ ტერიტორიაზე ვაკე რელიეფის გამო სავსებით შესაძლებელია 3.000 ჰექტარამდე ვენახი გაშენდეს, რაც დიდ შემოსავალს მისცემს კოლმეურნეობებს. აღნიშნულ ფართობებზე შეიძლება განხორციელდეს ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია.

საჭიროა ამთავითვე სწორი მიმართულება მივცეთ მევენახეობას, გავაშენოთ და ზონების მიხედვით განვალგოთ ვაზის მაღალხარისხოვანი შამპანური ჯიშები, აღვკვეთოთ და ავკრძალოთ უხარისხო ვაზის ჯიშებით ნაკვეთების დანაგვიანება.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობების ერთი ნაწილი მეტად ცუდად უვლის არსებულ ნარგავებს. ამის გამო ზშირად ვენახის მთელი ფართობები მწყობრიდან გამოდის. ასეთ მდგომარეობას ნორმალურად თვლიან კოლმეურნეობათა გამგეობები. სამწუხაროდ, ამ საქმეს გულდამშვიდებით უყურებენ რაიონების პარტიული, საბჭოთა და საბეურნეო ორგანიზაციები.

1954 წელს გაშენებული 0,75 ჰექტარი ვენახი განადგურდა ახალციხის რაიონის სოფელ წირის სპანდარიანის სახელობის კოლმეურნეობაში; სოფელ ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში ერთი ჰექტარი ახალაშენი ვენახი მოუვლელობის გამო მთლიანად დაიღუპა. 1955 წლის ზამთარში 4 ჰექტარი ვენახი მთლიანად მოიყინა ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის და 6 ჰექტარი სოფელ უღეს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში იმის გამო, რომ მიწით არ დაფარეს. მეტად ცუდად უვლიან ვენახებს აგრეთვე სოფლების გიორგიწმინდის, მუგარეთის, წყრუეთის, ზემო სხვილისის, მინაძის (ახალციხის რაიონი), ვარხანის, ბოლაჯურის, ეთელის, ფრეს, ჭეჭლას, ფხეროს (ადიგენის რაიონი), რუსთავის, ძველის, თმოგვის, იდუმალის (ასპინძის რაიონი) კოლმეურნეობებში. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელების ვენახების დიდი ნაწილი შეუღობავია და პირუტყვი ანადგურებს. მიუხედავად იმისა, რომ სიმეჩხერე ზოგან 40-60 პროცენტს აღწევს, არ იღებენ ზომებს მის შესავსებად გადაწვენით ან გამორგვით, არ აწარმოებენ უვარგისი ჯიშებისაგან ნაკვეთების გაწმენდას. ყველა სამუშაო აგროწესებით დაწესებულ ვადებში როდი სრულდება, რის გამო ვაზები მეტად დასუსტებულია და ყოველწლიურად დაბალ მოსავალს იძლევა.

კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი წლების განმავლობაში არ ასრულებს ვენახების გაშენების სახელმწიფო გეგმებს, რომლებიც მიღებულია კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე და შეტანილია საწარმოო გეგმებში. ამის გამო მესხეთის რაიონებში ყოველწლიურად იშლება ვენახის გაშენების სახელმწიფო გეგმები. მაგალითად, 1954 წელს ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებში 15 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა 7,45 ჰექტარი ახალი ვენახი, 1955 წელს დაგეგმილი იყო 20 ჰექტარი, გაშენდა 3,5 ჰექტარი. მსგავსი მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. ადიგენის რაიონის კოლმეურნეობებში 1954 წელს 10 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა 5,2 ჰექტარი. 1955 წელს დაგეგმილი 15 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა 2,18 ჰექტარი, ხოლო 1956 წელს 19 ჰექტარის ნაცვლად 3 ჰექტარი.

მოუწესრიგებელია კოლმეურნეობებისათვის ნამყენი ვაზის გამოყვანის საქმე. ვაზის სადედეები სოფელ ენთელში (ადიგენის რაიონი), აწყურში (ახალციხის რაიონი) პირუტყვმა გაანადგურა. ვაზის ნერგის გამოსაყვანი სათბურები სოფელ აწყურში (ახალციხე), არალში (ადიგენი) ბოსლებად და საწყობებად გადააკეთეს, ხოლო სოფელ ლელოვანის (ადიგენის რაიონი) სათბური მთლიანად დაანგრიეს და გაძარცვეს უპატრონობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ წნისის სახელმწიფო ხეხილსანერგე, რომელსაც დავალებული აქვს მესხეთის რაიონების მომარაგება ვაზის ნერგებით, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობათა მოთხოვნილებებს, რის გამო მათი ერთი ნაწილი იოლი გზით მიდის — ვენახის გაშენების გეგმების ფორმალურად შესრულებისათვის მიმართავს ვაზის დაუფესვიანებელი ნერგებით და დაუმყნობელი რქებით გაშენებას. ამ შემთხვევაში ნაკლებია ვაზის გახარების პროცენტი. ეს იწვევს სიმეჩხერეს, ქლოროზით დაავადებას.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობა, ავამაღლოთ ახალგაშენებული ვენახების ხარისხი. უნდა მოვაგვაროთ შრომის ორგანიზაცია მევენახეობის ბრიგადებში, აღვკვეთოთ ბრიგადირებისა და მერგოლურების ხშირი შეცვლისა და გაუპიროვნების მავნე პრაქტიკა, რომელსაც ვხედებით მთელ რიგ კოლმეურნეობებში. მაგალითად, ადიგენის რაიონის სოფელ არალის კოლმეურნეობაში ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მევენახეობის ბრიგადირი შეცვალეს 4-ჯერ, უდის კოლმეურნეობაში — 5-ჯერ, ბოლაჯურის კოლმეურნეობაში — 3-ჯერ და სხვ.

მესხეთში ყველა პირობაა სამრეწველო მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა ზუსტად განვახორციელოთ აგროტექნიკური ღონისძიებანი, გადაჭრით გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, გამოვიყენოთ მატერიალური წახალისების არსებული ღონისძიებები, გავაძლიეროთ სოფლის მექანიზატორთა პასუხისმგებლობა ამ დარგის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ", გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობის ისეთ დარგს, როგორიც მევენახეობაა. ამოცანა ის არის, რომ განუხრელად განვახორციელოთ დადგენილებით დასახული ღონისძიებანი.

ფართოდ განვავითაროთ მესხეთში მევენახეობა და მეღვინეობა, მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ღვინო.

აგრონომი შ. წიქვაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მესხეთის დასაყრდენი პუნქტის გამგე.

ინდოეთის საზოგადოებრიობა იწონებს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას

დელი, 3 აგვისტო. (საკდესი). სუეცის არხის ნაციონალიზაცია კვლავ იპყრობს ინდოეთის საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას. სუეცის საკითხთან დაკავშირებული ამბებისადმი მიძღვნილია გაზეთების მრავალი კომენტარი.

„ეგვიპტის მოქმედებას, — წერს გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი", — მიესალმება ყველა ხალხი, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში განთავისუფლდნენ უცხოთის ბატონობისაგან და, მიაღწიეს რა პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას დასავლეთის დიდად განვითარებულ ქვეყნებთან, ახლა ესწრაფვიან ეკონომიურ თანასწორუფლებიანობას".

დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები ზეგავლენა მოახდინონ ეგვიპტეზე აქ იწვევს აღშფოთებას, რომელსაც იზიარებენ ის გაზეთებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ დასავლეთის ორიენტაციას იცავენ.

„ტაიმს ოფ ინდია" მოწინავე სტატიაში წერს: „ლაპარაკი საკანონერო ნავებზე, გამზადებულ ფლოტზე და არხში გავლისას სამხედრო ხომალდების მიერ სავაჭრო გემების ბადრაგობაზე წარმოადგენს შეგნებულ და წინასწარ განზრახულ პროვოკაციას". როგორც გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა შეიგნონ, რომ არ შეიძლება ცალმხრივ საფუძველზე გადაიჭრას საკითხები, რომლებიც ახლოსა და აფრიკას შეეხება.

„საკანონერო ნავების დიპლომატიის დრო,— შენიშნავს გაზეთი „ინდიან ექსპრესი", დიდი ხანია გავიდა, და ყოველგვარ ავანტიურას შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის გაღვივება".

გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი" ხაზგასმით აღნიშნავს: „რამდენადაც დარწმუნებული ვართ, რომ სუეცის არხის როგორც საერთაშორისო არტერიის ხასიათი შენარჩუნებულ იქნება, თუმცა არხი გადის ეგვიპტის ძველისძველ ტერიტორიაზე, არ არის არავითარი საფუძველი მუქარისა და დაშინების გაჩაღებული კამპანიისათვის".

გაზეთი „ფრი პრეს ჯორნელი" მოუწოდებს აზიის ქვეყნებს გამოვიდნენ ერთად დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელიც ირაზმება ეგვიპტის წინააღმდეგ. „სავსებით აუცილებელია, — აცხადებს გაზეთი, — რომ აზიამ მაქსიმალურად მკაფიოდ გამოთქვას თავისი ერთიანი თვალსაზრისი... ახლა საჭიროა ერთობლივად გამოვხატოთ ინდოეთისა და აზიის ყველა ქვეყნის აზრი, რომლებიც დაინტერესებული არიან სუეცის არხით და ეგვიპტის ეკონომიური აყვავებით".

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 4 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც გმობს ეგვიპტის წინაღმდეგ საომარი მოქმედებისაკენ მოწოდებებს სუეცის არხის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ „შეიარაღებული აქციის მოთხოვნები ან ასეთი აქციის გამოყენების მუქარა, რაც გაისმის პარლამენტსა და პრესაში, მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას და გააძნელებს ამ პრობლემის გადაჭრას. ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა არ შეიძლება გამართლებულ იქნას. აგრესიული სიტყვები პარლამენტში, რეზერვისტთა გაწვევა, ბომბდამშენთა, სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ნაწილების გადაყვანა ხმელთაშუა ზღვის რაიონში ეწინააღმდეგება, განცხადების სიტყვით, ვალდებულებებს, რომლებიც ინგლისმა იკისრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, და ამან შეიძლება მხოლოდ სახელი გაუტეხოს ინგლისს მთელი მსოფლიოს თვალში".

ქამათი ლორდთა პალატაში

ლონდონი, 3 აგვისტო. (საკდესი). გამოვიდა რა კამათში ლორდთა პალატაში სუეცის არხის საკითხზე, ლორდმა სტეინსპეიტმა განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ არ არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა. აღნიშნა რა, რომ ეს გადაწყვეტილება „თავზარდამცემია", ლორდმა სტეინსპეიტმა, მიუხედავად ამისა, თქვა, რომ იგი „იურიდიული თვალსაზრისით ვერ მიიჩნევს, რომ პოლკოვნიკმა ნასერმა ისეთი რაღაც ჩაიდინა, რაც კანონს არღვევს".

ლორდმა სტეინსპეიტმა გამოთქვა გაფრთხილება, რომ ეგვიპტის მიმართ ინგლისის წინდაუხედავი მოქმედება ინგლისის წინააღმდეგ აამხედრებს „არაბთა ქვეყნების მთელ ლიგას, აგრეთვე ლიგის მეგობრებს".

დანარჩენ გამოსვლებს ახასიათებდა მკვეთრ ანტიეგვიპტური გამოზდომები. ბევრმა ორატორმა, მათ შორის დიდი ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა ეგვიპტეში ლორდმა კილერნმა, „მტკიცე მოქმედება" მოითხოვა.

„ჭრიბუნი" გმობს ეგვიპტის მიმართ „ძალის პოლიტიკის" განხორციელების მომხრეებს

პარიზი, 3 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, ყოველკვირეული „ტრიბუნი" მოწინავე სტატიაში გმობს ეგვიპტის მიმართ „ძალის პოლიტიკის" განხორციელებისადმი მოწოდებებს, რომლებითაც გამოდიან ინგლისის ზოგიერთი წრეები, ლეიბორისტების ჩათვლით, სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სტატიაში სათაურით „შეწყვიტეთ ეს სიგიჟე სუეცის არხის გამო", ნათქვამია, რომ „ლეიბორისტული პარტიის მოვალეობა ნათელია. მან წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ისტერიულ კამპანიას ნასერისა და მისი ქვეყნის წინააღმდეგ. კამპანიას, რომელშიც თავისი წვლილი შეაქვს ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწე ლეიბორისტს, აგრეთვე ლეიბორისტული პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდს".

დასასრულ სტატიაში ნათქვამია: „პარტიამ ხელი უნდა შეუშალოს იმას, რომ ინგლისმა მიმართოს ძალას".

რაიმონ გიუიოს გამოსვლა საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 3 აგვისტო. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე, კომუნისტმა დეპუტატმა რაიმონ გიუიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიას და მის საპარლამენტო ჯგუფს არ შეუძლიათ მოიწონონ მთავრობის პოზიცია სუეცის არხის საკითხში. მან აღნიშნა, რომ ამ პოზიციამ შეიძლება მხოლოდ საშიშრად გაამწვავოს ახლანდელი ვითარება. გიუიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მოიყვანა რა საბრძოლო მზადყოფნაში ესკადრა ტულონში, მთავრობამ ამით აკისრა დიდი პასუხისმგებლობა და რომ კომუნისტები და მშვიდობის ყველა მომხრე ფრანგ ხალხს მოუწოდებენ საფხიზლისაკენ. ორატორმა მოუწოდა არ არიონ ერომანეთში საფრანგეთის ინტერესები და კერძო კომპანიის ინტერესები. საფრანგეთი, განაცხადა გიუიომ, დაინტერესებულია იმით, რომ ყველა საერთაშორისო პრობლემა წყდებოდეს მშვიდობიანი გზით.

დაგმო რა სიცრუისა და ცილისწამების კამპანია ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, გიუიომ ცხადყო, რომ სუეცის არხის ნაციონალიზაცია საკსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და არ შეიძლება სადავოდ იქნას მიჩნეული. მან მოიგონა დამსწრეთ, რომ ეგვიპტის მთავრობამ გააკეთა კონკრეტული და ამომწურავი განცხადება სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ.

გიუიომ თქვა, რომ, თუ საფრანგეთი ჩაება რაიმე სამხედრო ავანტიურაში ახლო აღმოსავლეთში, ეს კი არ გააადვილებს, არამედ მნიშვნელოვნად გაართულებს ალჟირის პრობლემის გადაჭრას.

„საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ, — განაცხადა გიუიომ, — რათა მივაღწიოთ სუეცის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას ეგვიპტელი ხალხის, მისი დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის, აგრეთვე ყველა იმ ქვეყნის ინტერესებისათვის, რომლებიც სუეცის არხს იყენებენ საერთაშორისო ვაჭრობისათვის. ჩვენ საქვეყნოდ ვუცხადებთ მთავრობას, თქვა გიუიომ, — რომ სწორედ ასეთ გზას უნდა დაადგეს საფრანგეთის პოლიტიკა. ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც შეგვიძლია მოვიპოვოთ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა მეგობრობა და ნდობა, გზა, რომელიც საშუალებას მისცემს საფრანგეთს მთლიანად შეასრულოს თავისი როლი მსოფლიოში".

ინდონეზიის ეროვნული პარტიის თავმჯდომარის განცხადება

ჯაკარტა, 3 აგვისტო. (საკდესი). როგორც ინდონეზიის სააგენტო პია იუწყება, ინდონეზიის მმართველი ეროვნული პარტიის თავმჯდომარემ სუვარიომ სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ეგვიპტის გადაწყვეტილება განახორციელოს სუეცის არხის ნაციონალიზაცია, მას მიაჩნია სავსებით ლოგიკურად, რამდენადაც იგი გამომდინარეობს ეგვიპტელი ხალხის ინტერესებიდან და მიზნად ისახავს ეგვიპტის ეკონომიური განვითარების პროცესას დაჩქარებას.

დასავლეთის სახელმწიფოებმა, თქვა სუვარიომ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ კოლონიურ ბატონობას აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის მიმართ და უდიდეს მოგებას იღებდნენ მათგან, უნდა შეიგნონ, რომ ვითარება თანამედროვე მსოფლიოში მკვეთრად შეიცვალა, და შეურიგდნენ ამ შეცვლილ ვითარებას.

დამთავრდა ინგლისის საავტომობილო ქარხნის მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრეს ასოციაციის სააგენტო იუწყება, გუშინ დაგენაში დამთავრდა ფორდის საავტომობილო ქარხანა „ბრიგს მოტორ ბოდიზის" 12 ათასი მუშის გაფიცვა.

გაფიცვა დაიწყო 25 ივლისს პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა წინასწარ გაუფრთხილებლად და პროფკავშირებთან კონსულტაციის გაუწევლად დაეთხოვა 2.400 მუშა. მუშებს მედგარი ბრძოლის შედეგად ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება.

გაფიცვის მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ მეწარმეებს ეკასრნათ ვალდებულება აღარ დაითხოვონ ამიერიდან მუშები პროფკავშირებთან წინასწარი კონსულტაციის გაუწევლად.

როგორც გაფიცვის შეწყვეტის შესახებ გამოქვეყნებული განცხადებიდან ჩანს, მუშებმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც მიაღწიეს.

ევროპის გარშემო

წელს საბჭოთა ტურისტების დიდმა ჯგუფმა თბომავალ „პობედით" იმოგზაურა ევროპის გარშემო. ტურისტებმა გაიარეს რამდენიმე ზღვა და ატლანტიკის ოკეანე, ინახულეს ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია და შვეიცარია. ისინი იყვნენ ბევრ საინტერესო ქალაქში, დაათვალიერეს ხიძველის ძეგლები და კულტურის საგანძურები, გაეცნენ სხვადასხვა ხალხის ყოფაცხოვრებას.

თბომავალ „პობედით" ახლა მოგზაურობს ტურისტების მორიგი ჯგუფი.



ქარხანა „რენოს" ტერიტორია პარიზში.

შვეიცარია. ბოსტნეულისა და ხილის ბაზარი სტოკჰოლმში.



საბერძნეთი. ათენის ერთ-ერთი ქუჩა.

ფოტო ა. სტუშინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დამთავრდა უნგრეთის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს დამთავრდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია.

საბოლოო სხდომაზე, სახელმწიფო კრების მოღვაწეობის ახალი სტატუტის შესაბამისად, აირჩიეს 9 მუდმივი კომისია, მათ შორის იურიდიული, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, საგეგმო-საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვ.

სესიამ განიხილა დეპუტატების 20-ზე მეტი ინტერპელაცია მინისტრთა საბჭოსა და მთავრობის წევრების მიმართ.

ინტერპელაციების განხილვის შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ სახელმწიფო კრების ახალი სტატუტი სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში კრების როლის გადიდების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება

ბერლინი, 3 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ზ. შვაბის ინტერვიუს შესახებ ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამის" სპეციალური კორესპონდენტისადმი.

ზ. შვაბმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაცია მიაჩნია ისეთ ნაბიჯად, რომელიც ემსახურება ეგვიპტელი ხალხის ინტერესებს და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ხალხთა შორის ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი, რომლებიც მიესალმებიან ეგვიპტელი ხალხის ყოველ ნაბიჯს თავისუფლებისა და კეთილდღეობის მისაღწევად. დარწმუნებული არიან, რომ ეგვიპტელ ხალხსა და მის მთავრობას ვერ აცდენენ გზას იმპერიალისტური პროპაგანდის გამოდიმები. ზ. შვაბმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ თვითეული ხალხი თვითონ გადაწყვეტს საკუთარ საქმეებს, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმე ამით მხოლოდ მოიგებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირებს შორის კონტაქტის დამყარებისათვის

ბონი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „დოიჩე გეგერკშაფტს�ტუნგი" იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფოსტის მუშაკთა პროფკავშირის ჰესენის ორგანიზაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე ქალაქ ფულდაში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს დამყარდეს კონტაქტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა წევრებთან. როგორც რეზოლუციაში ნათქვამია, სავალალო ნაკლია ის, რომ არც დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებას, არც ამ გაერთიანების ცალკეულ დარგობრივ პროფკავშირებს დღემდე არაფერი გაუკეთებიათ გერმანიის გაერთიანებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ კონფერენციამ მოუწოდა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასა და თავისი პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას გამართონ მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალურ ხელმძღვანელობასთან, „რათა განსაზღვრონ რა ფორმით უნდა იქნეს წარმოებული მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ".

ცნობათა ბიუროს კიოსკები



თბილისის მცხოვრებთა და ჩამოსულთა უკეთ მომსახურების მიზნით ამ დღეებში თბილისის საქალაქო ცნობათა ბიურომ რკინიგზის თბილისის სადგურისა და კარლ მარქსის მოედნებზე გახსნა ცნობათა გასაცემი კიოსკები.

კიოსკებში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობები, მათ შორის მოქალაქეთა, საწარმო-დაწესებულებათა მისამართები და ტელეფონის ნომრები, ცნობები მატარებლების მიმოსვლის განრიგისა და ბილეთების ფასების, სამოქალაქო სამგზავრო თვითმფრინავების მოძრაობის, თბილისის ქუჩებისა და შესახვევების მდებარეობის, თეატრებისა და კინოთეატრების რეპერტუარის და სხვ. შესახებ.

ცნობათა ბიუროს კიოსკები ახლო ხანში გაიხსნება აგრეთვე ლენინისა და შაუმიანის მოედნებზე, ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში. კიოსკები ცნობათა ბიუროს აბონენტებს ცნობებს მისცემენ ტელეფონითაც. აბონენტი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ისე დაწესებულება.

• • •

სურათზე: საქალაქო ცნობათა ბიუროს კიოსკი რკინიგზის სადგურის მოედანზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

თოჯინების ცენტრალური თეატრის გასტროლები

თოჯინების ცენტრალური სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა გუშინ ფილარმონიის საზაფხულო თეატრში თბილისელ მაყურებელს პირველად უჩვენა სპექტაკლი „განქორწინების საქმე".

პიესის ავტორია თეატრის მსახიობი და რეჟისორი რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. სპერანსკი. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, სტალინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ს. ობრაზცოვს, მხატვრობა — რსფსრ დამსახურებულ არტისტს გ. ტუზლუკოვს, დადგმის რეჟისორები არიან ე. მეი და ს. სამოდური.

მოსკოველი სტუმრები დღეს დილით ნორჩ მაყურებლებს პირველად უჩვენებენ „ჩექმებიან კატას". საღამოს წარმოდგენილი იქნება „განქორწინების საქმე".

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა საქართველოს ფეხბურთელთა ბრწყინვალე ტრიუმფი

მოსკოვი, 4 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). საქართველოს და მოლდავეთის ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრა მერვედ ფინალურ მატჩში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პირველობაზე დიდ ინტერესს იწვევდა. ეს შეჯიბრება გამართა დღეს „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე.

საქართველოს ნაკრები გუნდის სახელით გამოდიოდა თბილისის „დინამო", მოლდავეთის სახელით — კიშინიოვის „ბურევესტნიკი".

თამაში თავიდანვე მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა. ორივე გუნდი დიდი მონდომებით იბრძოდა. მეთხუთმეტე წუთზე საქართველოს ფეხბურთელებმა მარჯვენა მხრიდან გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც ჭკუსელის დარტყმით და გოლით დამთავრდა. ამის შემდეგ სამი წუთი არც კი იყო გასული, რომ ხასაიის მიერ ოსტატურად მიწოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაიტანა კალოევმა.

შეჯიბრების მეორე ნახევრის მეთექვსმეტე წუთზე კვლავ კალოევმა ისახელა თავი. ანგარიში გახდა 3:0 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. მოლდავეთის ფეხბურთელთა კონტრიერიშს შედეგი არ მოყოლია. მარდანიამ ორჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გაგნიძემ მეოთხე ბურთი გაიტანა.

მატჩი მოიგო საქართველოს გუნდმა ანგარიშით 4:0 და მეოთხედ ფინალში გავიდა.

ჩოგბურთელთა შეჯიბრება

მოსკოვი, 4 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დაიწყო ჩოგბურთელთა ასპარეზობა. ბრძოლა მიმდინარეობს სსრ კავშირისა და ხალხთა სპარტაკიადის პირადაგუნდურ პირველობაზე. სპორტსმენთა პირადი და შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა საბჭოთა არმიის ცენტრალურ პარკში.

შეჯიბრება მიმდინარეობს რამდენიმე ათეულ კორტზე. მასში მონაწილეობს მიმქმე რესპუბლიკების 150 ჩოგბურთელი. გუშინდელ გუნდურ ასპარეზობაში ტაჯიკეთის ჩოგბურთელებმა მოუგეს თურქმენეთის გუნდს 10:5. ასეთივე ანგარიშით კარელიის გუნდმა დამარცხა ყირგიზეთის ჩოგბურთელები.

ფინიშის წინ

სმოლენსკი, 4 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). სსრ კავშირის მრავალდღიანი ველოსიპედისტების მონაწილენი უახლოვდებიან დედაქალაქს.

გუშინ შედგა მეცხრეტე ეტაპი მარშრუტი ორშა — სმოლენსკი, რომლის დისტანცია 136,5 კილომეტრი იყო.

...ველოსიპედისტები ფინიშს მიუახლოვდნენ. დაძლეულ იქნა რთული რელიეფი. აქ ყველის გაუსწრო ეჩკენკომ (უკრაინა), რომელმაც აღნიშნული მანძილი გაიარა 3 საათში, 39 წუთსა და 44 წამში და პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს გუნდი ამ ეტაპზე მეთორმეტე ადგილზე გამოვიდა, 13 ეტაპის შემდეგ წინ არის მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი.

დღეს სტარტი მიეცა მე-14 ეტაპს.

ჰაბუკ ფეხბურთელთა მატჩი

მოსკოვი, 4 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა საქართველოსა და უკრაინის ჰაბუკ ფეხბურთელთა გუნდების გადამწყვეტი ასპარეზობა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0. ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსები აცხადებს მიღებას 1956-1957 სასწავლო წლისათვის მანქანაზე წერისა და სტენოგრაფიის განყოფილებებზე.

კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი. კურსებზე არის ორი სექტორი— ქართული და რუსული.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი როგორც საშუალო, ისე რვა კლასის განათლების მქონე მოქალაქენი.

კურსებზე შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მხოლოდ მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი).

მანქანაზე წერის განყოფილებაზე სწავლების ვადა ერთი წელია, სტენოგრაფიის განყოფილებაზე კი სამი წელი.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

განცხადების მიღება წარმოებს 23 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

კურსებზე შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, დაბადების მოწმობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან (თუ მუშაობს), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

კურსების მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით 1956 წლის 21 აპრილიდან რადიომიმღებების მფლობელთაგან საბონემენტო გადასახადი მიიღება კვარტალურად.

პირველი კვარტალის გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს **15 თებერვლისა, მეორე კვარტალისა — 15 მაისს, მესამე კვარტალისა — 15 აგვისტოს და მეოთხე კვარტალისა — 15 ნოემბერს.**

აღნიშნული ვადების გადაცილებისათვის ჯარიმის დარიცხვა შეწყვეტილია. მის მაგიერ შემოღებულია სურავი — 16 რიცხვიდან ვადაგადაცილებულ თვითეულ დღეზე 5 კაპიკი.

ვთხოვთ რადიომფლობელებს, რომლებსაც არ გადაუხდიათ პირველი და მეორე კვარტალის საბონემენტო გადასახადი, დაუყოვნებლივ გადიხადონ.

უარეგისტრაციო რადიომიმღებებით სარგებლობა დაუშვებელია, რადიომიმღების მფლობელი ვალდებულია შეძენიდან სამი დღის ვადაში გააფორმოს თავისი რადიომიმღები კავშირგაბმულობის ქალაქის საფოსტო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

უნებართვოდ რადიომიმღებით სარგებლობისათვის დამნაშავეს გადახდება ჯარიმა.

თბილისის ფოსტამტის ადმინისტრაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

ჰიდროტექნიკის განყოფილება

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი—1 ადგილი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3 ადგილი.

ელექტროტექნიკის განყოფილება

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ადგილი.

ავტომატიკის განყოფილება

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი —1 ადგილი.

თბოტექნიკის განყოფილება

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი— 1 ადგილი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთ შემოაქვთ განცხადება ინსტიტუტის დირექციის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები (ორ-ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტაციის) პირები, დამოწმებული დიდგენილი წესით (უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად, სამეცნიერო ხარისხი თუ წოდება სავალდებულო არ არის), საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება, სამეცნიერო შრომების სია, რეცენზიები ამ შრომებზე და მთავარი დაბეჭდილი შრომები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში. თბილისი, ძერჟინსკი ქ. № 8, ტელ. 3-72-10.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა

აწარმოებს მოწაფეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

მრთველი, მფთილავი, მგრეხავი.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, სატრიკოტაჟო კომბინატი. განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე. ტრამვაი 4, 3, 12, 11.

მოქალაქე **როსტომ ანტონის-ძე ტაკაშვილმა,** მცხოვრებმა გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოში, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ნიკოლაძის ქუჩის პირველი შესახვევი № 4, მცხოვრებ მოქალაქე **ნანი პეტრეს ასულ ტაკაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სიმონ გიორგის-ძე გორგაძემ,** მცხოვრებმა ლებარდეს ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქეთევან დიმიტრის ასულ გორგაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 03089 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.